ხელშეკრულება №53

„29“ „თებერვალი“, 2012 წელი ქ.თბილისი

1. ხელშეკრულების მხარეების ზუსტი დასახელება

1.1 წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციასა (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ორისი“-ს (შემდგომში მიმწოდებელი) შორის და მიღწეული იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

ხელშეკრულება დადებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტით, გამარტივებული შესყიდვით.

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება

2.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას განაახლოს საბუღალტრო პროგრამა ორის ბუღალტერიის ხუთმომხმარებლიანი ერთვალუტიანი ვერსია (A05S/U). **CPV:48443000**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 311 (სამასთერთმეტ) ლარს და73 თეთრს.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა შორის ხელისმოწერის დღიდან და ძალაშია 2012 წლის 31 დეკემბრამდე .

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილეს ნინელი გიუნაშვილს.

6. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

6.1 მხარეთა შორის ანგარიშწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორებით, ფორმა სტანდარტული.

6.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების სრული გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

7.1 მიმწოდებლის მიერ ანაზღაურებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაში უნდა იყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან მიმართებაში.

7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

7.3ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ფორს მაჟორი

8.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული

შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ მათი დადგენიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა.

9. დავების გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
9.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1 ხელშეკრულებაში მითითებული ობიექტის ფასზე პასუხისმგებელი პირია სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ნინელი გიუნაშვილი.
10.2 7.2 პუნქტის შესრულებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულეზე და რეალობაზე პასუხისმგებელია 10.1 პუნქტში მითითებული პირი.

11. საავტორო უფლებები

11.1 კომპიუტერული პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოადგენს შ.პ.ს „ორისი"-ს საკუთრებას და დაცულია კანონით.

12. შეზღუდული გარანტია

12.1 შემსყიდველის მიერ პროგრამის შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში შ.პ.ს „ორისი" უზრუნველყოფს პროგრამის კომპიუტერზე დაყენებასთან და სარგებლობასთან დაკავშირებულ სატელეფონო და საკონსულტაციო მომსახურებას შ.პ.ს „ორისი"-ს ტერიტორიაზე. შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში შემსყიდველს აქვს უფლება მიიღოს პროგრამის განახლების ვერსიები, იმ შემთხვევაში თუ პროგრამის განახლებული ვერსიები გამოშვებული იქნება შ.პ.ს „ორისი"-ს მიერ აღნიშნულ ვადაში.

13. გარანტიების არარსებობა

13.1 პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოდგენილია „როგორც არის" ისეთი ფორმით და შეიძლება არ შეესაბამებოდეს შემსყიდველის ყველა მოთხოვნას. შ.პ.ს „ორისი" არ იძლევა გარანტიას, რომ პროგრამა უშეცდომოა. შ.პ.ს „ორისი" არანაირ ვითარებაში არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა, ფულად, პირდაპირ ან ირიბ დანაკარგებზე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს პროგრამის გამოყენებით ან გამოყენების შეუძლებლობით, იმ შემთხვევაშიც კი თუ შემსყიდველი წინასწარ იყო ინფორმირებული ამგვარი დანაკარგების შესახებ. არანაირ ვითარებაში დანაკარგების ანაზღაურების თანხა არ შეიძლება აჭარბებდეს შემსყიდველის მიერ ფაქტიურად გადახდილ პროგრამის ღირებულებას.

14. სალიცენზიო უფლებელი

14.1 პროგრამის ერთკომპიუტერიანი ვერსიის ლიცენზიის შემთხვევაში, შემსყიდველს აქვს უფლება იმუშაოს ერთ კომპიუტერზე, ან ქსელური ლიცენზიის შემთხვევაში – ლოკალურ ქსელში ჩართულ შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერზე.

15. უფლებების გადაცემა

15.1 შემსყიდველს აქვს უფლება გადასცეს სალიცენზიო უფლებები მესამე მხარეს იმ შემთხვევაში, თუ მესამე მხარე თანახმაა შეასრულოს მოცემული სალიცენზიო ხელშეკრულების

ყველა პირობა. ამ შემთხვევაში შემსყიდველმა უნდა გადასცეს მესამე მხარეს პროგრამა და სხვა თანმხლები მასალა, ხოლო თავის კომპიუტერზე წაშალოს პროგრამის ყველა ასლი.

16 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

16.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა.

16.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

16.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

16.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

17. დამატებითი პირობები

17.1 მხარეთა ურთიერთობები, რომლებიც არ არის განსაზღვრული მოცემული ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

17.2 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

დამკვეთი:
სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია
მის: ქ.თბილისი კოსტავას ქ.№37ა
ტელ: 299 89 90
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა,
საიდენტიფიკაციო კოდი 204532434

შემსრულებელი:
შ.პ.ს. „ორისი"
მის: ქ.თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. ბ12,
ტელ: 238-43-43; 238-39-94; 238-39-96
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკი
სს „საქართველოს ბანკი"-ს ცენტრ. ფილ.;
კოდი BAGAGE22;
ანგარიშის №GE88BG0000000120121601;
საიდენტიფიკაციო კოდი 206033754;

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის
ხელმძღვანელი:

დიმიტრი სანაკოევი

ხელმოწერა: ----------

ბ.ა.

შ.პ.ს. „ორისი"-ს დირექტორი:

დავით გოთოშია

ხელმოწერა: ----------

ბ.ა.

სახელმწიფო შესყიდვის №53 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით კონფლიქტის არარსებობის ცნობა

ზემოთ აღნიშნულ სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეებთან ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა აღნიშნულ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება **„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"** საქართველოს კანონის მუხლი 8-ით **(ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები)** გათვალიწინებულ მოთხოვნებს.

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის
ხელმძღვანელი **დიმიტრი სანაკოევი**

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის
საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის
დეპარტამენტის
უფროსის მოადგილე **ნინელი გიუნაშვილი**